KA021700609793121

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქუთაისი, ჯავახიშვილის 5

Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N13/26748

13 / მაისი / 2021 წ.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
სოფელ ერგეტის საჯარო სკოლას

თქვენი 2021 წლის 08 აპრილის № MES0210000341257 და 28 აპრილის №MES7210000421273 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი თანახმაა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 43.28.42.185) პირველ სართულზე მდებარე 233 კვ.მ ფართის ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით, აუქციონის საფუძველზე გაცემა განახორციელოთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ ვალდებულებებით, რაც თქვენს ზემოაღნიშნულ და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 02 აპრილის №MES6210000319447 წერილში არის მითითებული.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას. ამასთანავე, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, იჯარით გასაცემ ფართებზე კომუნალური გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს მოიჯარის მიერ.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დასავლეთ საქართველოს რეგიონული
დეპარტამენტის უფროსი

ვახტანგი ერემეიშვილი